საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №986
2024 წლის 18 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №492 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №492 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ^{1}“–„კ^{3}“ ქვეპუნქტები:

„კ^{1}) ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება ცენტრის შესაბამისი დეპარტამენტის/სამსახურის ჩართულობით;

კ^{2}) კანონმდებლობის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

კ^{3}) სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტთან ურთიერთობის კოორდინაციის პროცესში მონაწილეობა და ამ მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობა, აგრეთვე, მონაცემთა და სტატისტიკის ანალიზი;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**